

ჩერქეზების გენოციდი – პრობლემის ისტორია, მოვლენათა ქრონიკა, სამეცნიერო დასკვნა

მე-19 საუკუნის დასავლეთ-კავკასიის ტრაგიკული მოვლენები, რომლის შედეგადაც მილიონნახევრიანი ჩერქეზი ერი ყოფნა-არყოფნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, დღესაც აქტუალურია როგორც ისტორიულ-სამეცნიერო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. იმის საჩვენებლად, განხორციელდა თუ არა გენოციდი ჩერქეზების მიმართ რუსი კოლონიზატორების მხრიდან მასშტაბური სადამპყრობლო სამხედრო ოპერაციების დროს, წარმოვადგენ მხოლოდ ფაქტოლოგიურ მასალას და ავტორიტეტულ ისტორიკოს-ექსპერტთა დასკვნებს. ცხადია, აქ გვერდს ვერ ავუვლი ჩემი კოლეგის პროფ. ბეჟან ხორავას მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომს – **ჩერქეზები**, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ჩვენთვის საინტერესო პრობლემების კომპლექსურად შესწავლის მიზნით. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წერია, რომ:

„რუსეთ-კავკასიის ომის დროს რუსეთის იმპერია მიზანმიმართულად ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის მოსახლეობის – აბაზა-ჩერქეზების ამ რეგიონიდან ძალადობრივი გზით განდევნას სამოქალაქო მოსახლეობაზე სამხედრო თავდასხმების გზით. რუსეთის ხელისუფლება ომის დროს ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით განადგურებას ეწეოდა; განზრახ ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლის მიზანი იყო ამ მხარის მოსახლეობის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურება. ამის შედეგად აბაზა-ჩერქეზების დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო, ძალიან მცირე ნაწილი დარჩა რუსეთის ტერიტორიაზე. შედეგად, მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფი ისტორიის არენიდან გაქრა. ამდენად, რუსეთის იმპერიის ქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც გენოციდი და ეთნიკური წმენდა“.

უფრო ადრე, 1929 წელს კავკასიაში მოგზაურობის დროს აკად. სიმონ ჯანაშიამ ცნობილი მოვლენების უშუალო მონაწილე, 91 წლის ნაფსაუ იაბარაქუ ჰანსაქუ-საგან შემდეგი ჩვენება ჩაიწერა: გადასახლებიდან (1862 წ.)

„შვიდი წელიწადი ეყარა ადამიანების ძვლები ზღვის ნაპირას. მამაკაცის წვერისა და ქალის თმისგან ყვავები ბუდეს იკეთებდნენ, შვიდი წელი ზღვა ადამიანის თავის ქალას საზამთროსავით ისროდა ნაპირზე. მტერს არ ვუსურვებ იმის ნახვას, რაც მე ვნახე“ (სიმ. ჯანაშია, შრომები, ტ. მე-4, თბ., 1968, გვ. 124).

თავის დროზე ადიღელთა ტრაგედიის თვითმხილველი ი. დროზდოვი ასევე ამოწმებდა:

„საზარელი სურათი გადაგვეშალა თვალწინ – გზა მოფენილი იყო ბავშვების, ქალების, მოხუცების დაგლეჯილი, ძაღლებისგან ნახევრად შეჭმული, გვამებით; შიმშილითა და სნეულებით დასუსტებულ გადასახლებულებს, ძლივს რომ დალასლასებდნენ, და წაქცეულებს ჯერ კიდევ ედგათ სული, დამშეული ძაღლები უღებდნენ ბოლოს. . . . ჯანმრთელებს და ცოცხლებს მომაკვდავებზე ფიქრისთვის არ ეცალათ, არც მათ ელოდათ უკეთესი ბედი; გაწუწუებული თურქი შვიპერები ტვირთივით ეზიდებოდნენ ჩერქეზებს მცირე აზიის ნაპირებამდე და ავადმყოფობის უმცირესი ნიშანიც საკმარისი იყო, რომ წყალში მოესროლათ ნებისმიერი. ტალღებს ამ უბედურთა გვამები ანატოლიის ნაპირებთან გამოჰქონდა. . . . დანიშნულების ადგილამდე ნახევარმაც ვერ ჩააღწია. ამგვარი უბედურება და ამგვარი მასშტაბებით იშვიათად თუ უნახავს კაცობრიობას“.
(Дроздов И. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе // Кавказский сборник. Тифлис, 1877. ტ. 2. გვ. 457.).

მსგავსი რეალობით შეძრწუნებული მე-19 საუკუნის სამხედრო ისტორიკოსი ადოლფ ბერჟე წერდა:

„ვერასოდეს დავივიწყებ იმ დამთრგუნველ შთაბეჭდილებას, ნოვოროსიისკის ყურეში თავმოყრილი მთიელების, რომელთა რაოდენობა ალბათ დაახლოებით 17 000 ადამიანი თუ იქნებოდა, ნახვამ რომ მოახდინა ჩემზე. მოგვიანებით, წელიწადის ცივ დროში, საარსებო სახსრების უქონლობა და ტიფისა და სახადის ეპიდემიის მძვინვარება მათ ყოფას სრულიად აუტანელს ხდიდა. ვის გულს არ შეძრავდა ღია ცის ქვეშ ცივ მიწაზე გართხმული, ძონძებში გახვეული ახალგაზრდა ჩერქეზი ქალის დანახვა, რომლის ორი ჩვილი შვილიდან ერთი კრუნჩხვით დაფავდა სულს, მეორე კი უკვე გათოშილი დედის მკერდს ეპოტინებოდა შიმშილის მოსაკლავად“. (Берже Ад. П. Выселение горцев с Кавказа. // Русская старина. 1882. ტ. 33. წიგნი მე-2. გვ. 362-363.).

საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩერქეზების ისტორიის მიმართ დიდი ინტერესი აღმოაჩნდა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს. ეს იყო გარკვეულწილად ახალი დოქტრინის – „ცივი ომის“ ფარგლებში კავკასიური მიმართულებით დასავლეთის გააქტიურება. ჩერქეზული პრობლემატიკა ვრცელ ადგილს იკავებს შემდეგ დიპლომატიურ-პოლიტიკურ გამოცემებში: Peter Brock, The Fall of Circassia: A Study in Private Diplomacy. The English Historical Review, Vol. 71, No. 280 (Jul., 1956), pp. 401-427; Charles Webster, Urquhart, Ponsonby, and Palmerston, The English Historical Review, Vol. 62, No. 244 (Jul., 1947), pp. 327-351(ვიმონუმენტ ავრაჰამ შმულევიჩის წერილის მიხედვით: **Авраам Шмулевич, Как русский медведь проспал черкесский вопрос** 2011-05-17 [HTTP://WWW.APN.RU/AUTHORS/AUTHORS37.HTM](http://www.apn.ru/authors/authors37.htm))

მომდევნო პერიოდში ჩერქეზების გენოციდის თემას არაერთი უცხოელი ისტორიკოსი თუ ექსპერტი განიხილავდა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მინდა დავასახელო ამერიკელი დამოუკიდებელი მკვლევარ-ექსპერტი სტეფან დ. შენფილდი, რომლის გამოკვლევებითაც დგინდება, რომ თანამედროვე ჩერქეზთა საერთო რაოდენობა მთელ მსოფლიოში 6 248 000 შეადგენს. აქედან სამშობლოში, ანუ ჩერქეზულ რესპუბლიკებში ცხოვრობს 690 000-ზე მეტი ჩერქეზი: ყაბარდო-ბალყარეთში – 500 640, ყარაჩა-ჩერქეზეთში – 83 525, ადიღეს რესპუბლიკაში – 109 137 ადამიანი. გამოდის, რომ ისტორიულ სამშობლოში ჩერქეზთა მხოლოდ 10% ცხოვრობს. დანარჩენი 90% პროცენტი დანარჩენ მსოფლიოში ასე გადანაწილდა: თურქეთი – 5 000 000, გერმანია – 100 000, იორდანია – 100 000, სირია – 100 000, საფრანგეთი – 15 000, აშშ – 5 000, ისრაელი – 5 000, ჰოლანდია – 3000.

პროფ. შენფილდის მონაცემები რეალობას ასახავს თუნდაც იმიტომ, რომ გენოციდის დროს, ანუ 1864 წლის 21 მაისის პერიოდშიც ზუსტად ასეთივე სურათი იყო: ოკუპირებულ ჩერქეზეთში სიკვდილს გადარჩა ადგილობრივი მოსახლეობის 10%, ხოლო სხვა დანარჩენი 90% იძულებით ტოვებს სამშობლოს (ცნობისათვის: საზღვარგარეთ მიმობნეული 200-ზე მეტი ჩერქეზული სამოქალაქო ორგანიზაცია დღემდე აქტიურად იბრძვის ადიღე-ხალხთა უფლებების დასაცავად, მათი სამშობლოში დაბრუნების უფლების მოსაპოვებლად).

რაც შეეხება შენფილდის პასუხს კითხვაზე: განხორციელდა, თუ არა გენოციდი ჩერქეზეთში? პასუხი ასეთია: ეცნობი-რა ფაქტებს სხვადასხვა ავტორებთან, ძალზედ ძნელია აიციდინო, გვერდი აუარო დადებით პასუხს: “იყო ეს გენოციდი? ეცნობი რა სხვადასხვა ავტორების ნაშრომებს ძნელია თავი აარიდო პასუხს „კი“. (The circassians – A Forgotten Genocide? By Stephen D. Shenfield).

მეორე ცნობილი ასევე ამერიკელი დიპლომატი და ექსპერტი პაულ ბ. ჰენზი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ჩერქეზების ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ეძღვნება, ასკვნის: ის, რაც მოხდა, სულ ცოტა გენოციდთან უნდა იქნეს შედარებული [შესაძლებელია შევადაროთ მხოლოდ გენოციდს]: „What happened was at least comparable to genocide” (THE NORTH CAUCASUS BARRIER - CIRCASSIAN RESISTANCE TO RUSSIA By Paul B. HENZE, გვ. 111).

მართალია, მიქაელ მანნი (ექსპერტი ბელფასტის უნივერსიტეტიდან) ჩერქეზთა სისხლიან ტრაგედიას, მომაკვდინებელ ეთნიკურ წმენდას უწოდებს და არა გენოციდს, მაგრამ მის მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მასალა სწორედაც რომ გენოციდის ტოლფასია. სხვას ვერაფერს უწოდებ იმას, რომ 1 500 000 ადამიანი განდევნილ იქნა სამშობლოდან, ავტორისავე სიტყვებით, ამათგან 500 000-მა მიაღწია თურქეთამდე, დარჩენილი მილიონიდან უმეტესი ნაწილი დაიღუპა: „ამ ყველაფერმა გამოიწვია დაახლოებით მილიონი ადამიანის დაკარგვა. ეს უდრის ჩერქეზი მოსახლეობის ნახევარს. სიკვდილის გამომწვევი მიზეზები ძირითადად იყო შიმშილობა და ავადმყოფობა. მკვლელობით წმენდა რა თქმა უნდა აღიარებულია, მაგრამ არა გენოციდის სახელით“ (The Darkside of Democracy: Explaining Ethnic Cleansing, by Michael Mann. CUP, 2005, გვ.98-100).

უკანასკნელი პერიოდის ნაშრომებიდან ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვალტერ რიჩმონდის წიგნი, რომელიც ჩერქეზთა გენოციდისა და იძულებითი დეპორტაციის უმთავრეს საკითხებს ეძღვნება. იხ.:

Walter Richmond "The Northwest Caucasus: Past, Present, Future". Routledge Press, 2008

დაბოლოს, უცხოელ მკვლევართაგან ჩერქეზთა ეროვნულ ტრაგედიას ყველაზე ცალსახა გენოციდის კვალიფიკაცია მისცა პროფესორმა ანტერო ლაითცინგერმა. იგი უყოყმანოდ ასკვნის, მე-19 საუკუნეში ჩერქეზების გენოციდი, რომელიც განახორციელა ცარისტულმა რუსეთმა, იყო იმ დროის ყველაზე დიდი გენოციდი:

„მეფის რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდი ჩადენილი 1800 –იან წლებში იყო ყველაზე დიდი გენოციდი მთელს მე-19 საუკუნეში. თუმცა ის თითქმის მივიწყებულია მომდევნო პერიოდის ისტორიაში, მაშინ როდესაც ყველამ კარგად იცის მოგვიანებით მომხდარი ებრაული ჰოლოკოსტი და ბევრი გვესმის ასევე სომხების გენოციდზეც. ცალკეული გენოციდის ფაქტებზე საუბარს და კვლევას უმჯობესია ვისაუბროთ ზოგადად გენოციდის ტენდენციებზე, რომლებიც შეეხო როგორც მუსულმანებს ასევე ქრისტიანებს 1856 – 1956 წლებში და რომელიც დღესაც გრძელდება პოსტსაბჭოურ რუსეთში“. (Antero Leitzinger, The Circassian Genocide "Turkistan News" *The Eurasian Politician - Issue 2 (October 2000)*).

ახლა კი მიმოვიხილათ დოკუმენტურ მასალებს საკუთრივ რუსული და ჩერქეზული წყაროებიდან.

პირველი, რაც თვალში საცემია და რისი ფიქსირებაც დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს, ის გახლავთ, რომ ჩერქეზეთში განვითარებული სადამსჯელო აქტივობები იყო აბსოლუტურად გეგმიური, წინასწარ გათვლილი სამხედრო ქმედება, რომლის სათავეშიც იდგნენ თავად რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორები.

თავდაპირველად ამგვარ დამოკიდებულებას ოფიციალურად გამოხატავდა ნიკოლოზ პირველი, რომელიც გენერალ ი. ფ. პასკევიჩს (რუსეთის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში, განსაკუთრებული კავკასიური კორპუსის მეთაური) წერდა:

“გაასრულებთ რა ამგვარად ერთ საშურ საქმეს, გელით მეორე, ჩემი აზრით, არანაკლებ საპატიო, ხოლო პირდაპირი სარგებლის თვალსაზრისით ბევრად უფრო მნიშვნელოვანიც – მთიელი ხალხების სამუდამო დამორჩილება ან ურჩების განადგურება”. (იხ.: Щерბатов А.П. Генерал – фельдмаршал Паскевич - Эриванский. – Санкт – Петербург, 1891. т. II. გვ. 229). როგორც ვხედავთ, ამ ოფიციალურ წერილში ქვეყნის მეთაური მის ქვემდებარე საჯაროსო დანაყოფებსა და არმიის ხელმძღვანელს უბრძანებდა მთიელთა (ჩერქეზთა) დამორჩილებას ან ფიზიკურ განადგურებას.

ამასთანავე, რუსეთის მომდევნო იმპერატორი ალექსანდრე მეორე თავის სპეციალურ რესკრიპტში ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის მიერ **150 წლის წინათ დაწყებული სამხედრო ექსპანსია წარმატებით დასრულდა 1864 წელს**: „თქვენს იმპერატორულ უმაღლესობას შესაშური წილი ერგო – დააგვირგვინოს საუკუნენახევრის წინ დაწყებული საქმე დასავლეთ კავკასიის დაპყრობისა და პირველმა აუწყოს რუს ხალხს, რომ კავკასიაში ამიერიდან არცერთი ურჩი ტომი აღარ დარჩა“ (Приказ по Кавказской армии от 27 июля 1864 г. с объявлением рескрипта Александра II об окончании Кавказской войны// Проблемы Кавказской войны и выселение черкесов в пределы Османской империи (20 – 70-е г. XIX в.): Сборник архивных документов/ сост. Проф. Т.Х. Кумыков. – Нальчик, 2001. – გვ. 311).

1864 წლის მარტში დიდი თავადი (великий князь) მიხაილ ნიკოლოზის ძე სამხედრო მინისტრს უპატაკებდა: „ჩრდილოეთ ფერდობის მთელი სივრცე მდ. ლაზიდან და სამხრეთ ფერდობი ყუბანის შესართავიდან ტუაფსემდე გაწმენდილია ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი მოსახლეობისაგან. ამ დოკუმენტზე იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხელით არის მიწერილი: „დიდება უფალს“ (Проблемы Кавказской войны и выселение черкесов в пределы Османской империи. Сборник архивных материалов. Нальчик, 2001. გვ. 260.).

1863 წლის ნოემბერში ალექსანდრე მეორე სპეციალურ მითითებას აძლევდა გენ. ევდოკიმოვს, რომელიც მაშინ რუსულ შენაერთებს მეთაურობდა ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში:

„სრულ აუცილებლობას წარმოადგენს ნაპირებზე რუსული დასახლებების საზღვრების მდინარე ბზიფამდე გაფართოება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთიელთა ის მცირედი ნაწილიც კი, რომელიც ნაპირზე რჩება, ნებისმიერ პირობებში ჩვენი მოწინააღმდეგის სატყუარა იქნება საგარეო ომის შემთხვევაში“. (Отношение начальника Главного штаба Кавказской армии Карцова командующему войсками Кубанской области Евдокимову. // Проблемы Кавказской войны и выселение черкесов в пределы Османской империи. Сб. архивных материалов. Нальчик, 2001. გვ. 233.)

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ თვით რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაშიც ჰქონდათ ჩერქეზული პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გეგმა. კერძოდ, 1860 წლის ოქტომბერში, ანუ შამილის დატყვევების მომდევნო წელს, როცა ვლადიკავკაზში კავკასიის არმიის სამხედრო ხელმძღვანელი (მთავარსარდალი) გენერალი ა. ი. ბარიატინსკი ასევე კავკასიაში განწესებულ ოთხ სხვა გენერალთან (დ. ა. მილიუტინი, გ. ი. ფილიპსონი, ნ. ი. ევდოკიმოვი, დ. ი. მირსკი) ერთად განიხილავდა ჩერქეზული საკითხის გადაწყვეტის გზებს, არსებობდა უფრო ჰუმანური სამოქმედო გეგმაც, რომელსაც გენერალი ფილიპსონი ლობივებდა. ფილიპსონი წარმოადგენდა მოკლევადიან აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლის მიხედვითაც, შამილის ყოფილი თანამებრძოლის მუჰამედ–ემინის ხელშეწყობით რუსეთის ძალაუფლება ხდებოდა უფრო გამართლებული ფორმისა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტში სამხედრო გარნიზონის ჩაყენებას, ხე–ტყის კავვას, გზების დაგებას და ადგილობრივ ხალხთა ყოფით ელემენტებთან შეხამებული მმართველობის დამყარებას გულისხმობდა, რომლის ფარგლებშიც ჩერქეზებს არ ეკრძალებოდათ ვაჭრობის წარმოება თურქეთის სახელმწიფოსთან (ამის შესახებ თავის დროზე გენერალი

დ. ა. მილიუტინი იგონებდა – იხ. Д.А. Милютин "Моя поездка в Кубанскую область и на Черноморский берег"// Трагические последствия Кавказской войны для адыгов (вторая половина XIX – начало XX века): Сборник документов и материалов. – Нальчик, 2000. – გვ. 29).

მაგრამ ფილიპსონის შემოთავაზებას ამ სხდომაზე წინ აღუდგა გენერალი ნ. ი. ევდოკიმოვი, რომელიც მხარს უჭერდა ჩერქეზული მოსახლეობის აყრას მშობლიური მიწებიდან, მათ თურქეთში განდევნას, ხოლო გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე კაზაკების ჩასახლებას; განსაკუთრებით ეს ეხებოდა შაფსულებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპირო ზოლში, სოჭის ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ. ევდოკიმოვი ჩერქეზთა კავკასიიდან გასახლების დასრულებას ორი-სამი წლის განმავლობაში ვარაუდობდა (იხ. იქვე, გვ. 29–30).

გენერალ ევდოკიმოვის პოზიცია გაიზიარეს ბარიატინსკიმ და მილიუტინმა. საბოლოოდ გავიდა უმრავლესობის გეგმა, რომელიც ჩერქეზების ფიზიკურ განადგურებას ან სამშობლოდან განდევნას (ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით გენოციდს) გულისხმობდა: „დასავლეთ კავკასიაში ჩვენი ბატონობის განმტკიცების ერთადერთი საიმედო საშუალებაა ქედის ორსავე მხარეს მთისა და მთისპირა სივრცის დაკავება ჩვენი შეიარაღებული კაზაკური მოსახლეობით. (Акты, собранные Кавказской археографической комиссией. – Тифлис, 1904. – ტ. XII. – გვ. 665).

და რაც მთავარია, ევდოკიმოვის ეს გეგმა სამოქმედოდ დაამტკიცა ქვეყნის მეთაურმა, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, რომელიც ყველა შემთხვევაში ქვეშევრდომთაგან მოითხოვდა ჩერქეზების აყრას საკუთარი მიწებიდან და მათ გასახლებას ან თურქეთში, ანდა ყუბანისპირეთის გაუვალ ჭაობებში. ამის შესახებ გენერალი ნ. ი. მილიუტინი იგონებდა: „1860 წელს შექმნილი ყუბანის მხარეში სამოქმედო გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ საბოლოოდ გაგვეწმინდა მთის ზოლი მკვიდრი მოსახლეობისგან, რომელიც იძულებული იქნებოდა აერჩია ან ბარში ჩასახლება მთითებულ ადგილებზე რუსული მმართველობის სრული მორჩილებით ან სამშობლოდან გადახვეწა და თურქეთში გადასახლება. მთის ზოლი კი მოწინავე კაზაკთა დასახლებებით და სიმაგრეებით უნდა აგვეთვისებინა უკვე დაკავებული ლაბის სათავეებიდან შავი ზღვისპირეთის მთელი ზოლის გასწვრივ.“ (Милютин Д.А. Воспоминания// Осада Кавказа. Воспоминания участников Кавказской войны XIX века. – Санкт – Петербург, 2000. – გვ. 593 - 594).

გენოციდის რეალიზაცია მიმდინარეობდა წინასწარ მკაცრად დადგენილი წესების მიხედვით, განსაზღვრული იყო ადგილობრივი მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირება შემდეგი გზებით: ფიზიკური განადგურება, სიკვდილს გადარჩენილთა სოფლების გადაწვა, ნათესებისა და სასურსათო მარაგების მოპოვა, დაწიოკებული მოსახლეობის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულებით გასახლება: “ომი დაუნდობელი, უმოწყალო სისასტიკით წარმოებდა. ნაბიჯ–ნაბიჯ, მაგრამ საიმედოდ, მივიწვევდით წინ და გზად უკანასკნელ ადამიანამდე ვმუსრავდით ყველა მთიელს, რომელიც კი შემოგვეყრებოდა. როგორც კი თოვლმა დნობა იწყო და ვიდრე ხეები მწვანით შეიმოსა (თებერვალსა და მარტში) ასობით მთის სოფელი გადაწვით; ნათესები ცხენებით და ზოგან ფეხითაც გავაჩანაგეთ; მოსახლეობას, თუკი მოულოდნელად მოვიხელთებდით, ბადრაგის თანხლებით ერთიანად უახლოეს სტანიცებამდე, იქიდან კი შავი ზღვის ნაპირებისკენ და შემდეგ თურქეთში მივერეკებოდით“ (Венюков М.И. К истории заселения Западного Кавказа. 1861 – 1863 гг.// Русская старина. – 1878. – июнь. – გვ. 249).

გენერალი ა. ა. ველიამინოვი ჩერქეზთა დროის უმოკლეს პერიოდში დასამორჩილებლად ეფექტურ და აუცილებელ ღონისძიებად მასშტაბური ხელოვნური შიმშილობის პროვოცირებას მიიჩნევდა: "ა.ა. ველიამინოვს შიმშილი ერთადერთ საშუალებად თვლიდა მთიელების მოკლე ვადებში დასამორჩილებლად" (Кавказ и Российская империя: проекты, идеи, иллюзии и реальность. Начало XIX - начало XX вв. – Санкт – Петербург, 2005. – გვ. 74).

იმავე მეთოდის გამოყენებით გენერალი ვ. გეიმანი იმედოვნებდა, რომ ადგილობრივი ჩერქეზული მოსახლეობა ან შიმშილისაგან დაიხოცებოდა, ან გამოვიდოდა ზღვისპირეთში, რათა გადასახლებულიყო თურქეთში. აი, რას წერდა გენერალი თავის რაპორტში 1864 წელს:

"აულები, პურისა და ხილის მარაგი გადამწვარია; ზუსტად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა ზამთრის განმავლობაში ან შიმშილით გაწყდება ან ჩვენს ზღვისპირა პუნქტებში გამოვა თურქეთში გადასახლებლად." (**Проблемы Кавказской войны и выселение черкесов в пределы Османской империи, Нальчик, 2001, გვ. 336**).

ამის პარალელურად პრაქტიკულად იმავე პერიოდში ზუსტად ასევე მოქმედებდა სხვა გენერალიც, კერძოდ, 1864 წელს ი. ორეხოვი ფიქრობდა, რომ დაგეგმილი ოპერაციის დროულად დამთავრებისთვის: "აუცილებელი იყო ექსპედიციის დაწყება გვიან შემოდგომაზე, სწორედ მაშინ, როცა მათ (ჩერქეზებს – მ.ჩ.) ზამთრისთვის მთელი სურსათი მომარაგებული აქვთ, ამ მარაგების განადგურებით მოსახლეობისთვის გარდაუვალი შეიქმნება: ან გადასახლება ან შიმშილით სიკვდილი. ასეც იქნა გაკეთებული ამ შემოდგომაზე." (**Орехов И. И. По южному склону Западного Кавказа. // Военный сборник. 1869, № 9, გვ. 97**).

მიუხედავად მეფის რუსეთის მიერ ჩადენილი სისასტიკეებისა, ჩერქეზული წინააღმდეგობის მეთაურები მაინც არ კარგავდნენ იმედს და თანხმობას აცხადებდნენ რუსეთის იმპერიაში შემოსვლაზე იმ პირობით, რომ მათ საკუთარ მიწებზე ცხოვრების უფლებას მისცემდნენ. საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოსაგვარებლად გამოიყო ჩერქეზ–უბიხთა დელეგაცია აბამეხი ჰასან ბითხევის, უბიხი ჰაჯი კერენ–ტუკ–ბერზევის და შაფსუდი ისლამ თხაშევის შემადგენლობით. ისინი ჩერქეზი ხალხების მეჯლისის სახელით ჩამოვიდნენ თბილისში, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ამავე წინადადებით ითხოვდნენ ყუბანში მყოფ იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან შეხვედრას. მაგრამ, სამწუხაროდ, უბიხ–ჩერქეზთა ამ მშვიდობიან ინიციატივას გენერალ ფილიპსონის პროექტის ბედი ეწია, რუსეთი არ იყო დაინტერესებული საკითხის პლიტიკური მეთოდებით მოგვარებით. რუსული მხარის პოზიცია თანმიმდევრულად არის ასახული სამხედრო მინისტრ დ. ა. მილიუტინის მიმართვაში იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი, სადაც გენერალი დაჟინებით მოითხოვდა ჩერქეზთა უკვე დაგეგმილი გენოციდის პოლიტიკიდან არგადახვევას. 1861 წლის 29 აგვისტოს მინისტრი წერდა: „თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, გთხოვთ მიაპყროთ ყურადღება, რომ აქამდე დაუმორჩილებელი სამი დასავლეთ კავკასიელი ხალხის – შაფსულების, უბიხების და აბამეხების მცირე ხანს უკან შექმნილი კავშირის დეპუტაცია წარგზავნილია თბილისში და ეს დეპუტაცია განიზრახავს თქვენს უდიდებულესობასაც წარუდგეს თქვენი ყუბანის მხარეში მოგზაურობისას. ჩერქეზთა დელეგაციის ჩამოსვლამ და მისმა მშვიდობიანმა განცხადებებმა არავითარი გავლენა არ უნდა იქონიოს დასავლეთ კავკასიაში ჩვენი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. ჩვენ ურყევად უნდა განვაგრძოთ ამ მხარეში კაზაკების ჩასახლება, ვინაიდან ჩემს ოდინდელ მოსაზრებას ვერ გადავუხვევ და კვლავაც მწამს, რომ მხოლოდ მთიდან უცხოტომელთა გამოდევნითა და მათ ნაცვლად კაზაკების ჩასახლებით მოვიკიდებთ მყარად ფეხს კავკასიაში“. (Акты, собранные Кавказской археографической комиссией. – Т. XII. – გვ. 932 – 933. Всеподданнейшая записка управляющего военным министерством, ген. – адъютант. Милютин, от 29 августа 1861).

ჩერქეზთა გენოციდის გარდუვალობაზე და მის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა ასევე ყუბანის მხარის სამხედრო შენაერთთა მეთაური გენერალი ნ. ი. ევდოკიმოვი: „ურჩი მთიელების თურქეთში გადასახლება უდაოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა, რომლითაც ომს უმოკლეს ხანაში დავამთავრებთ ჩვენი მხრიდან ზედმეტი ძალისხმევის გარეშე“ (**Берже Ад. П. Выселение горцев с Кавказа// Русская старина. – Санкт – Петербург, 1882. – Т. 33. – გვ. 342**).

იგივე გენერალი 1864 წელს თავადვე აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და მის მასშტაბებზე დაუფარავად წერდა: „მიმდინარე 1864 წელს აღსრულდა ფაქტი, რომელიც თითქმის უმაგალითოა ისტორიაში, მთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რომელიც ოდესღაც დიდი სიმდიდრის პატრონიც იყო, შეიარაღებაც

ჰქონდა და საომარ ხელოვნებასაც ფლობდა, ეკავა ყუბანის სათავეებიდან ანაჰამდე ყუბანს გადაღმა მხარე და კავკასიის ქედის ვრცელი ტერიტორია სუჯუკის ყურიდან მდ. ზოიფამდე, და ამ მხარეში ყველაზე მიუდგომელი ადგილების პატრონი იყო, უეცრად ქრება ამ მიწიდან.“ (Отчет гр. Евдокимова. გვ. 88.).

ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრესი ნაწილის ფიზიკურ განადგურებას ისახავდა მიზნად თავის ქმედებებში კავკასიის არმიის სარდალი, გრაფი მიხაილ ნიკოლაევიჩი, რომელიც 1863 წლის 10 ნოემბერს სამსამხედრო მინისტრ დ. ა. მილიუტინს ამგვარი ქმედებების აუცილებლობაში კიდევ ერთხელ არწმუნებდა: "ზღვისპირა ზოლის ბუნება და აქ მცხოვრები ხალხის ჩვევები იმდენად განსხვავდება იმისგან, რაც ჩვენ შეგვიძლია მთიელებს შევთავაზოთ, ანუ ყუბანისპირა სტეპში ცხოვრება, რომ ამ მოსახლეობის უმრავლესობის იარაღით განადგურება მოგვიწევს, ვიდრე ის ჩვენი მოთხოვნების შესრულებას დათანხმდება“. (Проблемы Кавказской войны и выселение черкесов в пределы Османской империи. Сб. архивных материалов. Нальчик, 2001, გვ. 228).

ამავდროულად მე-19 საუკუნის სამხედრო ისტორიკოსი რ. ა. ფადეევი ასკვნიდა, რომ რუსეთის სახელ – მწიფოს მხოლოდ ჩერქეზების მიწა სჭირდებოდა, ხოლო საკუთრივ ჩერქეზებისადმი საჭიროების არანაირი მოთხოვნა მაშინდელი რუსეთის ხელისუფლებაში არ არსებობდა: „ყუბანის მიწები სჭირდებოდა სახელმწიფოს, თავად ისინი [ჩერქეზები] კი არაფერში ესაჭიროებოდა“. (Трагические последствия Кавказской войны для адыгов (вторая половина XIX – начало XX в.). Нальчик, 2000, გვ. 162).

მე-19 საუკუნის კავკასიის ომის უშუალო მონაწილე მ. ი. ვენიუკოვი ამოწმებდა, რომ „დასავლეთ-კავკასიის ჩასახლების პროექტის“ ავტორი გრაფი ევდოკიმოვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაუსაძლისი გაეხადა ჩერქეზთა საცხოვრებელი პირობები, იგი ასევე გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევდა ადგილობრივების საერთო რაოდენობის მკვეთრ შემცირებას მათი სიკვდილიანობის გზით და ამისათვის ყველაფერს აკეთებდა: „... გრაფი ევდოკიმოვი რომელიც „დასავლეთ კავკასიაში ჩასახლების ოფიციალური პროექტის“ უშუალო შემსრულებელი იყო, დიდად არ ზრუნავდა ყუბანისპირა დაბლობში ჩამოსახლებული მთიელების ბედზე. მას მტკიცედ სწამდა, რომ იმ მრავალწლიანი ომის საუკეთესო შედეგი, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა რუსეთს, ყველა მთიელის ზღვის გადაღმა განდევნა იყო. ამიტომ ყუბანის გადაღმა დარჩენილ მთიელებს, თუნდაც მშვიდობიანი ქვეშევრდომების სახით, გარდაუვალ ბოროტებად აღიქვამდა და ყველაფერს აკეთებდა მათი რიცხოვნობის შესამცირებლად და მათ შესავიწროებლად“. (Венюков М. Кавказские воспоминания (1861 – 1863)// Русский архив. – Москва, 1880. – Книга I. – გვ. 435 – 436; Осада Кавказа. Воспоминания участников Кавказской войны XIX века. – გვ. 619).

ამის შესახებ მე-19 საუკუნის სამხედრო ისტორიკოსი რ. ა. ფადეევი წერდა: საჭირო იყო მთიელთა (ჩერქეზთა) საერთო რაოდენობიდან ერთი ნახევრის ფიზიკური განადგურება, რომ დარჩენილ ნაწილს შეეწყვიტა წინააღმდეგობა და კოლონიზატორებს დამორჩილებოდა: [„მთიელების ნახევარი უნდა განადგურებულიყო, რომ მეორე ნახევარს ფარ-ხმალი დაეყარა“.] ((Трагические последствия Кавказской войны для адыгов (вторая половина XIX – начало XX в.). Нальчик, 2000, გვ. 160).

ხოლო, თუ როგორი სისასტიკით ხორციელდებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ჩერქეზული სუბეთნიკური ჯგუფების დამორჩილება, წარმოდგენას გვიქმნის გენერალ პ. დ. ბაბიჩის ქმედებანი, ჩადენილი ზეედულთა ტომის წინააღმდეგ, როდესაც 1859 წლის 18 იანვრიდან 7 თებერვლამდე განადგურდა 44 ზეედულური სოფელი (**შედარებისათვის:** თანამედროვე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის 29 სოფელში (და არა 44-ში(!)) მოსახლეობს აბაზების 50 ათასიანი მთელი მოსახლეობა): „გენერალმა ბაბიჩმა გაკაფა ტყე, რომელიც ზეედულების საცხოვრებელს გარს ერტყა, შეიჭრა ამ ტომის მიწაზე, ბრძოლით აიღო და ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურა 44 გამაგრებული აული. ზეედულები თოვლით დაფარულ, განადგურებულ სოფლებში საცხოვრებლისა და საკვების გარეშე, ჩვენი თარეშისაგან სრულიად დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მიხვდნენ, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევას

აზრი აღარ ჰქონდა, თავიანთ სამფლობელოს ველარ გადაარჩენდნენ. (Отчет ген. – фельдмаршала князя А.И. Барятинского за 1857 – 1859 годы. გვ.1285).

სანიმუშოდ კიდევ ერთი სამხედრო დამნაშავეს გენერალ გ. ხ. ზასსის მიერ განხორციელებული გენოციდის აღწერას ვთვლი აუცილებლად; როგორც კავკასიის ომის მონაწილე მ. ფ. ფედოროვი აღწერს, 1834–36 წწ გენერალ ზასსმა გაანადგურა შემდეგი მშვიდობიანი აულები: სოუთი, ხოისთი, ხოჩელქი, ლეზეროქი, თაილისი, თლაბლაი, თამოვი, ფსეფირი და სხვ. (Федоров М.Ф. Походные записки на Кавказе с 1835 по 1842 год// Кавказский сборник. 1879. –Т. III.- გვ. 50-52, იხ. აგრეთვე: Щербина Ф.А. История Кубанского казачьего войска Том II. Репринтное воспроизведение. Краснодар,1992, გვ. 406).

გენერალი ზასსი მიზნად ისახავდა ჩერქეზთა ფსიქოლოგიურ დატერორებას;მას მშვიდობიანი მოსახლეობა მუდმივ შიშში ჰყავდა, ამიტომაც დაპყრობილ სოფლებში თავშეყრის ადგილას ყოველთვის გამოფენილი იყო სარზე წამოცმულ ჩერქეზთა მოკვეთილი თავები. ისტორიულად ისიც კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ზასსი ვაჭრობდა ჩერქეზული თავის ქალებით როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში. გენერალ ზასსის ამგვარი ქმედებანი აღწერილია დეკაბრისტ ნ. ი. ლორერის ჩანაწერებში: „გენერალი ზასი დამინების იდეით იყო შეპყრობილი და მის დასამკვიდრებლად ხელოვნურ ყორღანზე მუდმივად ჰქონდა ხიშტზე ჩამოცმული ჩერქეზების თავები, რომლებსაც ქარი წვერს უწეწავდა. სევდისმომგვრელი იყო ეს საზარელი სანახაობა. (იხ.: "Записки декабриста Н.И. Лорера". – Москва, 1931. – გვ. 248).

ჩერქეზთა გენოციდის ამსახველი ეს და სხვა ფაქტები ექსპერტების მიერ ადრევე იქნა კვალიფიცირებულიამ ხალხის ფიზიკური განადგურების – გენოციდის მცდელობად. თვით რუსული დამყრობლური რეგულარული არმიის მეთაურებშიც კი ამგვარი სისასტიკე პროტესტის გრძნობას იწვევდა. ასე მაგალითად, ჩერქეზთა ტრაგედიის მასშტაბებით შეძრწუნებული გენერალი ნ. ნ. რაევსკი გადადგა და თავის რაპორტში წერდა:

„მე აქ პირველმა და აქამდე ერთადერთმა აღვიმალე ხმა კავკასიაში დამლუპველი საომარი მოქმედებების წინააღმდეგ, რის გამოც იძულებული ვარ, დავტოვო აქაურობა. ჩვენი მოქმედებები კავკასიაში ესპანელების მიერ ამერიკის თავდაპირველი დაპყრობის ყველა საშინელებას მაგონებს, მაგრამ აქ ვერ ვხედავ ვერც გმირობას და მამაცობას, ვერც პისარისა და კორტესის მიღწევებს. ღმერთმა ქნას, რომ კავკასიის დაპყრობამ იმის მსგავსი სისხლიანი კვალი არ დატოვოს რუსეთის ისტორიაში, როგორც ამ დამპყრობლებმა დატოვეს ესპანეთის ისტორიაში“. (АКАК, ტ. IX დოკ. 434. გვ.504).

ამ თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ თავად ჩერქეზული ეთნიე მე–19 საუკუნეში მომხდარს დღემდე ვერ ივიწყებს და ამ ტრაგიკულ ამბებს ჩერქეზული ცნობიერება, აღიქვამს რა მას ადეკვატურად, მისდაუნებურად, ქვეცნობიერად აძლევს გენოციდის კვალიფიკაციას. თუმცა ყოველივე ამის შესახებ უფრო მართებულად, და შეიძლება ითქვას მარჯვედაც, რუსი ისტორიკოსი ი. ი. კუცენკო შენიშნავდა: „გენოციდის შესახებ სიმართლის დამალვა შეუძლებელია. ადიღურ რესპუბლიკებში მასზე მოგონებები ცოცხლობს, ახალი დეტალებით მდიდრდება, მზარდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით მტკივნეულად ტრაგიკული, სისხლიანი წარსულის მოგონება 21 მაისს იჩენს თავს, კავკასიის ომის ყოველ მორიგ წლისთავზე. ეს დღე მრავალი ადამიანისთვის იქცა სამგლოვიარო თარიღად. ამგვარად გენოციდი უკვე დიდი ხანია ცნო მთავარმა ინსტანციამ – მკვიდრი მოსახლეობის მასობრივმა ცნობიერებამ და თვით რუსების მნიშვნელოვანმა ნაწილმაც. ის აუღიარებელი რჩება მხოლოდ რუსეთის ფორმალური

პოლიტიკური ხელმძღვანელობის და მისი მორჩილი ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ“. (Куценко И.Я. Правда и кривда. – Нальчик, 2007. – გვ. 82).

ჩერქეზთა გენოციდის შესახებ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა გვეჩვენოს, თვით საბჭოთა ცენზურის პირობებშიც კი, ობიექტურად წერდა აგრეთვე რუსი ისტორიკოსი ვ. ი. პისარევი: „თითქმის ასი წლის მანძილზე (XVIII საუკუნის 70 –იანი წლებიდან 1864 წლამდე) მეფის ჯარები და კაზაკები სისტემატურად აოხრებდნენ აულებს, წვავდნენ პურსა და თივას, მიერეკებოდნენ საქონელს, ტყვედ მიყავათ ქალები, ბავშვები და მოხუცები. მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ, სისხლი მდინარეებად მოედინებოდა“. (Писарев В.И. Методы завоевания адыгейского народа царизмом в первой половине XIX в. //Исторические записки. – Москва, 1940. – ტ. 9. – გვ. 155).

ჩერქეზების გენოციდის თემას გვერდს არ უვლიან და ამ თემატიკაზე საუბარს არ ერიდებიან თავიანთ კვლევებში რუსი მეცნიერები: ს. ს. მინცი, ვ. პ. გრომოვი, ფ. ა. შჩერბინა და სხვ.

ობიექტური კვლევის ტრადიცია უდავოდ არსებობდა რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რის კლასიკურ ნიმუშად გამოდგებოდა ჯერ კიდევ მე–20 საუკუნის 20–იანი წლებში იაკობ აბრამოვის მიერ აღწერილი მოვლენები, რომლებიც მთლიანად, როგორც აკად. სიმონ ჯანაშიას შემთხვევაში, თვითმხილველთა მოგონებებს ეყრდნობოდა. აი, როგორი სიზუსტით აღწერს პირუთვნელი ისტორიკოსი გადასახლების სცენებს ჩერქეზულ შავიზღვისპირეთში: „მთელი ამ ხნის მანძილზე ჩერქეზები ღია ცის ქვეშ, ზღვისპირას დატოვეს – ცხოვრების ყოველგვარ საშუალებას მოკლებული. შეუძლებელია, მთიელთა იმ ტანჯვის აღწერა რაც მათ იმ დროს გადაიტანეს. შიმშილით ათასები იხოცებოდნენ. ზამთარში ამას ყინვაც დაემატა. შავი ზღვის მთელი ჩრდილო–აღმოსავლეთი სანაპირო მოფენილი იყო გვამებითა. მათ შორის უკიდურესად დასუსტებული ცოცხალი ადამიანებიც იწვნენ, რომლებიც ამაოდ ელოდნენ თურქეთში გამგზავრებას. თვითმხილველები საშინელ სცენებს გადმოსცემენ: დედის ცხედარს ხელებში შეჭყინვოდა მკვდარი ბავშვები, ისინი სიკვდილსაც კი ვერ დაეშორებინა. ადამიანები სითბოს შესანარჩონებლად ერთმანეთს მიკვროდნენ და ამ მდგომარეობაშივე დარჩენილიყვნენ – მთელი სანაპიროზე გვამების გორები იდგა.“ (**Абрамов Я. Кавказские горцы, Краснодар, 1927**, გვ. 7). მსგავსი შეფასებები დამახასიათებელია კიდევ ერთი რუსი მკვლევრის სულ ახლახანს გამოქვეყნებული სტატიისთვისაც, რომელიც გამოირჩევა ფაქტობრივი მასალის სიუხვითა და ავტორისეული ემოციურობით (იხ. **Тамара Половинкина: Черкесия — боль моя и надежда**, 2011).

აქვე მინდა შევეხო ერთ საჭირობოროტო საკითხსაც, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩერქეზთა გენოციდის კვლევის გზაზე.

რატომღაც ასე დამკვიდრდა, რომ ჩერქეზთა გენოციდის აქტიურ პერიოდად მიჩნეულია მხოლოდ 1763–1864 წლები. რასაც ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. მართალია, დასახელებული დროის მონაკვეთი იყო მეტად აქტიური სამხედრო ქმედებების პერიოდი, მაგრამ ჩერქეზთა გენოციდი გრძელდებოდა თვით მე–20 საუკუნის დასაწყისამდე, 1907 წლამდე, ანუ მაშინაც, როცა მიღებულ იქნა კაცობრიობის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის დოკუმენტი – ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის IV კონვენცია „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ“.

ასეთი დასკვნის გაკეთების აუცილებლობაზე მეტყველებს შემდეგი ისტორიული ფაქტები :

1871-1881 წლებში ყუბანის ოლქიდან ოსმალეთში ადიღელთა 428 კომლი გადაასახლეს, ხოლო **1882-1883 წლებში** – 1381 კომლი.

1887 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ყუბანის ოლქში მცხოვრები ადიღე-ჩერქეზების სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაწყვიტა, რასაც ადგილობრივთა დიდი პროტესტი მოჰყვა. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ადიღური აულები ოსმალეთში გადასახლდებოდნენ; 1888 წ. ოქტომბერში აულ ხაჯიმუკოვის 3 333 მცხოვრები ოსმალეთში გადასახლდა.

1889 წლის 7 ნოემბერს იმპერატორის „ნებართვის“ საფუძველზე ადიღელების 6 აულის მოსახლეობა ოსმალეთში გადასახლდა.

1890 წელს ლაბისა და ეკატერინოდარის განყოფილებებიდან 7 აული გადასახლეს, რადგან მთავრობას მათი მიწები სჭირდებოდა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ყუბანის ოლქიდან ოსმალეთში **20 ათასამდე** ადამიანი გაასახლეს.

1900 წლის მიწურულს თერგის ოლქიდან გადასახლებული 260 ყაბარდოელი დამასკოში ჩავიდა.

1900-1907 წლებში დაახლოებით 8 ათასი ყაბარდოელი ოსმალეთში გადასახლეს. ეს იყო რუსეთის იმპერიის მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის ერთ-ერთი ბოლო აქტი.

ჩერქეზული გენოციდის აღიარებისა და კომპლექსური შესწავლის მიმართულებით განსაკუთრებით საგრძნობია ადიღური სამეცნიერო აზრის გააქტიურება გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდიდან დღემდე, როცა თითქმის ყოველწლიურად (რეგულარულად) ეწყობა სამეცნიერო და საზოგადოებრივი ფორუმ-შეკრებები სამსავე ჩერქეზულ ავტონომიაში.

აღსანიშნის ღირსია ისიც, რომ 1990 წლის 24-25 აპრილის კოშეჰაბლის ფორუმის („История – достояние народа“) მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი რეკომენდაცია, სადაც ცალსახად კეთდება კომპეტენტური დასკვნა იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნის ცარიტული რუსეთის კოლონიური ქმედებანი დასავლეთ-კავკასიაში უნდა შეფასდეს გენოციდის პოლიტიკად, ხოლო ადიღელთა ბრძოლა კი იყო ანტიკოლონიური და ატარებდა პროგრესულ ხასიათს, მათი ძალისხმევა მიმართული იყო თავისუფლების, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად: „აღიარებულ იქნეს, რომ ცარიზმი XIX საუკუნეში ადიღე ხალხების გენოციდის პოლიტიკას აწარმოებდა., ადიღელების ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კი ცნობილ იქნეს მასობრივ, სახალხო, ანტიკოლონიურ და პროგრესულ მოძრაობად“. (Черкесия в XIX веке (материалы I Кошехабльского форума"История – достояние народа"). – Майкоп, 1991. გვ. 263). //მწმწნ.: **კოშეჰაბლი** ჩერქეზული დასახლებული პუნქტია, რომელიც 1918 წლის ზაფხულში წითელარმიელებმა პრაქტიკულად გაანადგურეს, აქ აგრესორებთან ომს 214 თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩერქეზი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა.

იმავე წლის 24-26 ოქტომბერს ქ. ნალჩიკში ჩატარდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩრდილოკავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და მუჰაჯირობის პრობლემები [Национально – освободительная борьба народов Северного Кавказа и проблемы мухаджирства], სადაც ასევე მიღებულიქნა ნალჩიკის კონფერენციის რეკომენდაცია, რომელშიც გაკეთდა ობიექტური დასკვნა იმის შესახებ, რომ რუსული ცარიზმის პოლიტიკა კავკასიის რეგიონში იყო დაპყრობითი, კოლონიური ხასიათისა, რომელიც დაკავშირებული იყო დამონებასთან, გენოციდთან და ადიღე (და სხვა ადგილობრივი) ხალხების სამშობლოდან იძულებით გასახლება-განდევნასთან: „როგორც ამ კონფერენციის მასალებიდან ჩანს, რუსული ცარიზმის პოლიტიკა ამ რეგიონში იყო დამპყრობლური და კოლონიზატორული, რასაც თან ახლდა ადიღელი და სხვა ხალხების ნაწილის სამშობლოდან განდევნა, მათი დამონება და გენოციდი“. (Национально – освободительная борьба народов Северного Кавказа и проблемы мухаджирства: Материалы Всесоюзной научно – практической конференции 24 – 26 октября 1990 г. – Нальчик, 1994. – გვ. 260).

ჩერქეზ–ადიღელთა გენოციდის თემა სხვადასხვა დროს დაუფარავად და, შეიძლება ითქვას, ამომწურავად განიხილებოდა შემდეგი სამეცნიერო კონფერენციების სამუშაო პროგრამებში:

- Кавказская война: уроки истории и современность (г. Краснодар, май 1994 г.)
- "Адыгский этнос: история и перспективы" (г. Майкоп, 24 – 25 октября 1996 г.)
- "Кавказская война в истории народов Северного Кавказа" (г. Майкоп, 5-8 мая 1999 г.)
- "Бесленей в историческом и этнокультурном контексте адыгского этноса" (г. Майкоп, 1 июня 2001 г.)
- "Кавказская война: уроки и современность" (г. Майкоп, 20 – 21 мая 2004 г.)
- международный Круглый стол "Адыги (Черкесы) в XIX веке: Проблемы войны и мира" (г. Майкоп, 21 мая 2009 г.).

ჩერქეზთა გენოციდის განხილვისას ამ ეროვნების მეცნიერ–ექსპერტები თავიანთ დასკვნებში ერთსულოვანი არიან, როგორც ადიღეში, ყარაჩაეთ–ჩერქეზეთში, ისე ყაბარდო–ბალყარეთში, თითქმის ყველა ისტორიკოსი თვლის, რომ მე–19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ განახორციელა ჩერქეზი ხალხების გენოციდი, რაც გამოიხატა ამ ხალხების 90%-ის ან ფიზიკურ განადგურებაში, ან მშობლიური მიწებიდან აყრაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მათ იძულებით გადასახლებაში (იხ. Аскер Сохт, Черкесская история и современность. 1–ლი და მე–2 ნაწილები www.агентство политических новостей. 2010-04-22).

ასე ფიქრობენ ისეთი მეცნიერებიც კი, ვისაც ადიღელების მომავალი მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში ეგულება კანონზომიერად. ასე მაგალითად, აღიარებდა რა (მდიდარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით) ჩერქეზთა გენოციდს, გამოცდილი მაიკოპელი ისტორიკოსი **ასხად ჩირგი** წერდა: „ჩერქეზთა გენოციდის შესახებ ჩვენ გვჭირდება მხოლოდ სიმართლე: სიცრუეზე ხალხთა შორის მეგობრობას ჩვენს ქვეყანაში ვერ ავაგებთ. ადიღეს რესპუბლიკა რუსეთის განუყოფელ ნაწილად რჩება, ჩერქეზებს მომავალი მხოლოდ რუსეთის ხალხებთან ერთად, რუსეთის შემადგენლობაში აქვთ“ (**Имперцы пытаются оправдать геноцид черкесского народа – kavkasia.net/Russia/article/1272517654.**)

ამავდროულად ჩერქეზული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი და ახალი ჩერქეზული ნაციონალური პროექტის ერთ–ერთი ავტორი რუსლან კეში (კეშევი) გენოციდის საკითხში იდენტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს თავის სტატიაში «Геноцид Черкесского народа» (თბილისი, 2010).

ადგილობრივთა დასკვნებს ეხმიანება ჩერქეზული დიასპორული სამეცნიერო კვლევის შედეგებიც, ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია აშშ–ში მოღვაწე მხცოვანი მწერლისა და ისტორიკოსის ყადირ ი. ნათხოს 2010 წელს გამოცემული მონოგრაფია CIRCASSIAN HISTORY, USA, Library of Congress. Xlibris Corporation. წიგნის მე–6 თავი მთლიანად ჩერქეზთა გენოციდის საკითხებს ეძღვნება. ავტორის სამართლიანი დაკვირვებით, რუსეთის იმპერია ჩერქეზთა გენოციდის შედეგად გამოთავისუფლებულ („გაწმენდილ“) მიწებზე ასახლებდა რუს–კაზაკთა წარმომადგენლებს, ახდენდა ამ ტერიტორიების კოლონიზაციას: „აშკარაა, რომ ჩერქეზთა გენოციდის განსახორციელებლად რუსეთმა მიმართა ძირძველი მოსახლეობის სრული ფიზიკური მოსპობის პოლიტიკას და „გაწმენდილ“ ტერიტორიის კოლონიზაცია მოახდინა რუსი კაზაკებით“– Kadir I. Natho, დასახ. ნაშრ., გვ. 366.

ჩერქეზული საზოგადოებრივი აზრის უდავო გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის ისტორიული ფაქტი, რომ 1992 წლის 7 თებერვალს ყაბარდო–ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება (**N 977-XII-B**), რომელიც აღიარებს რუსეთ–კავკასიის ომის პერიოდში რუსი დამპყრობლების მიერ ჩერქეზების გენოციდის ფაქტს:

ყაბარდო-ბალყარეთის სსრ უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

რუსეთ-კავკასიის ომის წლებში ადიღელთა (ჩერქეზთა) გენოციდის შესახებ მსჯელობის შესახებ
1992 წლის 7 თებერვალი N 977-XII-B

ასწლიან კოლონიურ რუსეთ-კავკასიის ომს (1763-1864წწ.), რომელმაც ადიღელებს (ჩერქეზებს) აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მიაყენა, არ გააჩნია ანალოგი ახალი დროის ისტორიაში. ადიღური ეთნოსის უდიდესი ნაწილი, მათ შორის ყაბარდოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი ფიზიკურად განადგურდა, 500 ათასზე მეტი ადიღელი ცარიზმის თვითმპყრობელობამ ძალით განდევნა ოსმანთა იმპერიაში.

ამდღევს რა ისტორიულ და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებას რუსეთ-კავკასიის ომს, ყაბარდო-ბალყარეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ჩაითვალოს რუსეთ-კავკასიის ომის დროს ადიღელთა (ჩერქეზთა) მასობრივი განადგურება და მათი ძალით გადასახლება ისტორიული სამშობლოდან ოსმანთა იმპერიაში გენოციდის აქტად.

2. შეტანილ იქნეს წინადადება რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოში რუსეთ-კავკასიის ომის დროს ადიღელთა (ჩერქეზთა) გენოციდის აღიარებისა და მათი საზღვარგარეთელი თანამემამულეებისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვის შესახებ.

3. დაევალოს ყაბარდო-ბალყარეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ყაბარდო-ბალყარეთის სსრ მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთ მცხოვრები ადიღელების (ჩერქეზების) სარეზიდენტაციო და სარეპატრიაციო ღონისძიებების პროგრამის შემუშავება.

4. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მოპოვებულ იქნეს საზღვარგარეთ მცხოვრები ადიღელებისთვის (ჩერქეზებისთვის) დევნილი ხალხის სტატუსი.

5. გამოცხადდეს 21 მაისი, რუსეთ-კავკასიის ომის მსხვერპლ ადიღელთა (ჩერქეზთა) ხსოვნის დღე, უქმე დღედ.

ყაბარდო-ბალყარეთის საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
ხაჩიმ კარმოკოვი

ოდნავ მოგვიანებით, კერძოდ, 1996 წლის 29 აპრილს ადიღეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ –ხასე–მ მიიღო სპეციალური დადგენილება (N 64-1), რომელშიც თხოვნით მიმართავდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს (დუმას), რათა ამ უკანასკნელს ოფიციალურად ეღიარებინა ჩერქეზთა გენოციდი, ჩადენილი მეფის რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში:

ადიღეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს – ხასეს
დადგენილება

1996 წ. 29 აპრილი N 64-1

რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმისადმი მიმართვის
შესახებ

ადიღეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო – ხასე ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტის და ადიღეს

რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს – ხასეს მიმართვა რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმისადმი კავკასიის ომის პერიოდში ადილელი (ჩერქეზი) ხალხის გენოციდის ფაქტის აღიარების შესახებ.

2. გაეგზავნოს აღნიშნული მიმართვა რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო დუმას.

ადილეს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს – ხასეს თავმჯდომარე
ე. სალოვი

ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის მიერ რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში რუსი დამპყრობლების მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების მომდევნო პერიოდში მოვლენათა დინამიკა ჩერქეზთა გენოციდის პრობლემის გარშემო შემდგომი თანმიმდევრობით განვითარდა:

1994 წლის 18 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოაქვეყნა მიმართვა ჩრდილოკავკასიელი ხალხებისადმი ("Обращении к народам Кавказа"), სადაც აღიარებულ იქნა მე-19 საუკუნეში ჩერქეზთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სამართლიანობა. დოკუმენტი გმოზდა რუსეთის იმპერიის მიერ გატარებულ გენოციდის პოლიტიკას, მაგრამ ელცინის ამ აღიარებას არ მოჰყოლია რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქმედითი ნაბიჯები დანაშაულის შედეგების აღმოსაფხვრელად; სახელმწიფო დონეზე არ დასმულა საკითხი იძულებით გადასახლებულთა (მუჰაჯირთა) სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

1997 წლის 15-17 ივლისს ჰოლანდიაში განთავსებულმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ THE GENERAL ASSEMBLY OF THE UNREPRESENTED NATIONS AND PEOPLES ORGANIZATION მიიღო სპეციალური რეზოლუცია „ჩერქეზი ხალხის მდგომარეობის შესახებ“, ამ დოკუმენტით ორგანიზაცია მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციას და საერთაშორისო საზოგადოებრიობას ეღიარებინა ჩერქეზი ხალხის გენოციდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნეში და ითხოვდა ჩერქეზი ხალხისათვის დევნილი ხალხის სტატუსის მინიჭებას:

წარმომადგენლობის არმქონე ერებისა და ხალხების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, გენერალური ასამბლეის V სესია.

ოტეპა, 15-19 ივლისი 1997

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 1

რეზოლუცია ჩერქეზი ხალხის მდგომარეობის შესახებ

გენერალურმა ასამბლეამ,

მოისმინა ჩერქეზთა ასოციაციის მოხსენება ჩერქეზი ხალხის მდგომარეობის შესახებ, რომ რუსეთ-კავკასიის ომების დროს ჩერქეზები ნაწილობრივ განადგურდნენ და გადარჩენილი მოსახლეობის 90% იძულებით გადასახლებული იქნა საზრვარგარეთ – თურქეთში, იორდანასა

და სირიაში. ჩერქეზმა ერმა საკუთარ თავზე იწვნია გენოციდი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. უცხოეთში მცხოვრებმა ჩერქეზებმა გაჭირვებით შეინარჩუნა საკუთარი ენა, კულტურა და თავისთავადობა.

ამიტომ,

მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციასა და საერთაშორისო საზოგადოებას ცნონ მე-19 საუკუნის ჩერქეზთა გენოციდი და ჩერქეზ ხალხს მიანიჭონ დევნილი ერის სტატუსი.

მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას ჩერქეზებს მიანიჭოს ორმაგი მოქალაქეობა.

მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას უზრუნველყოს ჩერქეზი ხალხის დაბრუნება მათ ისტორიულ მიწა-წყალზე.

1998 წლის 28 მაისს საერთაშორისო ჩერქეზული ასოციაციის თავმჯდომარემ ტეუვეჟ კაზანოკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის IV სესიაზე ჩერქეზთა გენოციდის აღიარებისა და ჩერქეზული დიასპორის რეპატრაციის პრობლემის საკითხი დააყენა: „კავკასიის გარეთ ჩერქეზული დიასპორა წარმოიშვა მე-19 საუკუნეში. დაუზუსტებელი მონაცემებით თურქეთში ცხოვრობს 3–დან 4 მილიონამდე ჩერქეზი, ისინი იდევნებოდნენ მხოლოდ იმიტომ რომ ჩერქეზები იყვნენ. დღემდე ეს პრობლემა არ ყოფილა განხილული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა დაიწყონ ამ პრობლემის შესწავლა. ჩერქეზთა დიასპორის უმრავლესობას სურს კავკასიაში დაბრუნება, მაგრამ საქმეს ართულებს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და რუსული საკანონმდებლო პროცედურები, რაც ხელს უშლის ჩერქეზებს მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა. რუსი ჩინოვნიკები ჩერქეზებს არ აძლევენ საშუალებას ისარგებლონ კანონით "რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ". ამის გამო გადასახლებული ჩერქეზების შთამომავლები ისტორიულ მიწაზე დაბრუნების შემთხვევაში განწირულები არიან, რომ ყოველგვარი სამოქალაქო უფლებების გაეშე დარჩნენ. გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩერქეზი ხალხის ტანჯვას გაერო გულთან ახლოს მიიტანს“.

2005 წლის 1 ივნისს საზოგადოებრივმა მოძრაობა "ადიღეს რესპუბლიკის ჩერქეზთა კონგრესმა" რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სახელმწიფოს მიერ 1763-1864 წლებში ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა. ჩერქეზთა მიმართვას თან ერთვოდა „ჩერქეზთა კონგრესის“ თავმჯდომარის მურატ ბერზეგის ხელმძღვანელობით შეკრებილი ხუთასზე მეტი დოკუმენტური მასალა, სადაც მხილებული იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო მეთაურების მიერ ჩადენილი სისასტიკენი, დეტალურად იყო აღწერილი ჩერქეზული დასახლებებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური განადგურების ფაქტები, რაზეც სათათბიროს მხრიდან ცინიკური პასუხი მიიღეს, რომ „ჩერქეზები (ადიღელები) მეორე მსოფლიო ომის დროს არ გამხდარან გენოციდის მსხვერპლნი“.

2005 წლის 15 ივლისს ჩერქეზული პრობლემების (გენოციდის) ცნობილმა დასავლელმა ექსპრტმა პოლ გობლმა (Paul Goble) რადიო „თავისუფლებაზე“ მოამზადა სპეციალური რეპორტაჟი, მიძღვნილი ჩერქეზული პრობლემებისადმი, რომელიც მოგვიანებით სტატიის

სახითაც გამოქვეყნდა: "ჩერქეზები ითხოვენ რუსეთის მხრიდან მე-19 საუკუნეში ჩადენილი დანაშაულის აღიარებას" (Circassians Demand Russian Apology For 19Th Century Genocide).

2006 წლის 11 ოქტომბერს მსოფლიოს 9 ქვეყნის 20-მა ჩერქეზულმა ორგანიზაციამ ევროპარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა.

2006 წლის 17 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის ჩერქეზულმა ორგანიზაციებმა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს თხოვნით მიმართეს, ჩერქეზთა საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის ხელი შეეწყოს. ორგანიზაციებმა მიმართვის პასუხად შემდეგი შინაარსის განცხადება მიიღეს: "რუსეთის კანონმდებლობაში არ არსებობს შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის პროცედურას განსაზღვრავს".

2007 წლის 21 მაისს ვაშინგტონში ჯეიმსთაუნის ფონდსა და ჩერქეზთა კულტურის ფონდში ორგანიზებულ იქნა კონფერენცია სახელწოდებით "ჩერქეზები: წარსული, აწმყო და მომავალი";

2007 წლის 4 ოქტომბერს აშშ-ში ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლებმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ჩერქეზთა გენოციდის ოფიციალურ დონეზე აღიარებისა და, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ჩერქეზთა რეაბილიტაციის საკითხის ყურადღებით და ყველამხრივ გადახედვის მოთხოვნით მიმართეს.

2008 წლის 13 აპრილს აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატის უილიამ პატერსონის უნივერსიტეტმა მორიგ კონფერენციას უმასპინძლა – „გაერთიანებული ჩერქეზეთი. ჩვენი მომავლის მშენებლობა“ (Embracing Circassia, Building Our Future. William Paterson University. Wayne, New Jersey).

2010 წლის 20 მარტს თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც ძირითადი ყურადღება ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხს დაეთმო. ჩერქეზი ხალხის წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართეს.

2010 წლის 25 მაისს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტმა ოფიციალური დასკვნა გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ *თანამედროვე ადიღელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და შავსულები ერთიანი ჩერქეზული ერია.*

2010 წლის ივნისში ვაშინგტონში "ჯეიმსთაუნის ფონდის" ინიციატივით, ჩერქეზთა საკითხზე კიდევ ერთი კონფერენცია გაიმართა.

2010 წლის ნოემბერში კი მეორე თბილისურმა კონფერენციამ ჩერქეზული პრობლემის ახალი ასპექტები განიხილა, მათ შორის - 2014 წელს, 1864 წლის 21 მაისს "კრასნაია პოლიანაზე" ჩერქეზებზე გამარჯვების აღსანიშნავად სამხედრო აღლუმის ჩატარების დღიდან 150 წლის შემდეგ, სოჭში ოლიმპიადის ჩატარების მიზანშეწონილობა.

2010 წლის ნოემბერში "ჩერქეზთა კონგრესის" წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხის გადახედვის დაჩქარების თხოვნით მიმართეს, რის შემდეგმ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან საინფორმაციო თანამშრომლობა დამყარდა.

2011 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ორგანიზაცია "ჩერქეზთა პატრიოტებმა".

2011 წლის 3 მაისს პარლამენტმა ანალოგიური შინაარსის მიმართვა ისრაელის ჩერქეზული დიასპორისგანაც მიიღო: "ისრაელის ჩერქეზთა დიასპორა მოგმართავთ თხოვნით, რუსეთის სახელმწიფოს მიერ მე-19 საუკუნეში ჩადენილი ჩერქეზთა გენოციდი აღიაროთ", - ნათქვამი იყო ისრაელის ჩერქეზთა კონგრესის თავმჯდომარის ადნან ორკიჟის წერილში.

2011 წლის 3 მაისს პარლამენტს გერმანიის ჩერქეზთა კონგრესმაც მიმართა. წერილის ავტორები ირწმუნებოდნენ: "კავკასიური სახელმწიფოს - საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ქართველ და ჩერქეზ ხალხებს შორის ურთიერთობას ახალ დონეზე აიყვანს და ამ ორ შორის ისტორიულ კავშირებს კიდევ უფრო გაამყარებს".

2011 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით ბელგიის ჩერქეზულმა კონგრესმა მიმართა. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის თავმჯდომარე ყუბან ხატუკაი.

2011 წლის 6 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივმა მოძრაობამ – „ადილა ხეკუჟ – ჩერქესია“. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი აბუბექირ მურზაყანოვი.

2011 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ჩეჩნურმა ადამიანის უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „МИР И ПРАВА ЧЕЛОВЕКА“. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის პრეზიდენტი, ცნობილი უფლებადამცველი საიდ-ემინ იბრაგიმოვი.

2011 წლის 9 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი კავკასია“. მიმართვას ორგანიზაციის წევრთა სახელით ხელს აწერდა ხელმძღვანელი გიორგი საბედაშვილი.

2011 წლის 10 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა „ახალგაზრდა ჩეჩენთა საერთაშორისო ორგანიზაციამ“. ორგანიზაციის წევრები ასევე იმედოვნებდნენ, რომ საქართველოს პარლამენტი უყურადღებოდ არ დატოვებდა ჩეჩნური და ინგუშური ორგანიზაციების ადრეშემოსულ წერილებს ამ ხალხთა გენოციდის აღიარების თხოვნით.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა იორდანელი ჩერქეზთა ორგანიზაციამ „МИНУТА ВЕРНОСТИ И ДОЛГА“ (ქ. ამმანი).

2011 წლის 12 მაისს ცნობილმა ებრაელმა ექსპერტმა ავრაჰამ შმულევიჩმა ჩერქეზული გენოციდის შესახებ მეტად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა. იხ. *Авраам Шмулевич, Как русский медведь проспал черкесский вопрос (WWW.APN.RU/AUTHORS/AUTHORS37.HTM)*.

2011 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ცნობილმა ინგუშმა დისიდენტმა, მწერალმა და ჰუმანისტმა ისსა ქამოევმა, თავის წერილში ავტორი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარება იქნებოდა დიდი ქართულ-კავკასიური კაცთმოყვარე ტრადიციების გაგრძელება და სამართლიანობის აღდგენა.

2011 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტში, სხვადასხვა კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე ჩვენ მიერ წარმოდგენილიქნა წინამდებარე სამეცნიერო დასკვნა ჩერქეზთა გენოციდის შესახებ, სადაც შესავალ სიტყვაში ვთქვი: „ის, რაც განახორციელა რუსეთის იმპერიამ ადიღელების მიმართ, იყო აშკარად გამოხატული გენოციდი. საქართველოს პარლამენტს აქვს შანსი აღადგინოს სამართლიანობა და მიაგოს პატივი მილიონობით დაზარალებულსა და ასეულათასობით მოკლულ ჩერქეზთა ხსოვნას“.

სამეცნიერო კვლევის დასკვნითი ნაწილი

რუსეთის იმპერიის კავკასიაში წარმოებული კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად არაერთი ადგილობრივი ხალხი ფიზიკურად განადგურდა. რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული გენოციდის დანაშაულებრივი პოლიტიკის საშინელებანი საკუთარ თავზე იწვნის; ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ყარაჩაელებმა, ნოღაელებმა, ბალყარელებმა როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა პერიოდში. კავკასიელი ხალხების მიმართ გენოციდის პოლიტიკა კიდევ უფრო სასტიკი გახდა ე. წ. დემოკრატიულ რუსეთში (ელცინ-პუტინის მმართველობა). კავკასიის კოლონიზაციის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ ჩერქეზები (ადიღელები), რომელთა ერთი ნაწილი, კერძოდ, უბიხები ფიზიკურად გადაშენდნენ. საერთოდ კი, რუსეთ-კავკასიის ომის მსვლელობისას, მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩერქეზი ხალხის მრავალრიცხოვანი სუბეთნიკური ჯგუფების ასეულათასობით წარმომადგენელი, საკუთარი სამკვიდროდან აყარა და ოსმალეთში გადაასახლა, რადგან შეუძლებლად მიიჩნია მათთან თანაარსებობა რუსეთის

იმპერიის სივრცეში; იმპერიას ჩერქეზული მიწები სჭირდებოდა, და არა ჩერქეზი (ადილელი) ხალხი. ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში იძულებით დეპორტაციას წინ უძღოდა ჩერქეზების მრავალწლიანი შეუპოვარი შეიარაღებული წინააღმდეგობა, რაც რუსმა სტრატეგოსებმა მთიელთა მიზანმიმართული ხოცვა-ჟლეტის გასამართლებლად გამოიყენეს. ცარისტულმა რუსეთმა ჩერქეზების (ადილელების) სწორედ მშვიდობიანი ნაწილის მიმართ გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხები, რომლებიც თავისი ბუნებით აბსოლუტურად არაადამიანურია.

ჩერქეზების (ადილელების) წინააღმდეგ „დემოგრაფიული შეტევის“ განხორციელებისას რუსეთმა გამოიყენა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, არტილერიული იერიშები მშვიდობიან მოსახლეობაზე, ეთნიკური წმენდა და დეპორტაცია, ტყეებისა და ნათესების გადაწვა, შიმშილობისა და ეპიდემიების ხელოვნურად გამოწვევა, დასახლებული პუნქტების განადგურება–მოსპობა.

კაცობრიობის ბოლო პერიოდის ისტორიამ ხალხთა გენოციდების არაერთი შემთხვევა იცის: ბოსნიაში, ჩეჩნეთში, რუანდაში... მაგრამ ჩერქეზული გენოციდი უნიკალურია, ვინაიდან, სხვებისგან განსხვავებით, ჩერქეზებმა მოსახლეობის ორ მესამედთან ერთად დაკარგეს სახელმწიფოებრიობა და, რაც მთავარია, სამშობლო. ასე აღმოჩნდნენ მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მიმოფანტულები ჩერქეზი ერის წარმომადგენლები, რომლებიც დევნილი ხალხის სტატუსს იმსახურებენ, მაგრამ ვერ სარგებლობენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვეყრდნობი—რა ფაქტობრივ მასალებს, ისტორიულ დოკუმენტებს და ამასთანავე ვიზიარებ—რა ავტორიტეტულ და მიუკერძოებელ ექსპერტ-მკვლევართა შეფასებებს, ვასკვნი, რომ: მე-19 საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის დროს (1763–1864 წწ) რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ საგანგებოდ იქნა წინასწარ ჯერ დაგეგმილი და შემდგომ განხორციელებული ჩერქეზული ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით წმენდა, ჩერქეზებისგან დაცარიელებულ პუნქტებში სპეციალურად იქნენ ჩასახლებული კაზაკები და რუსები, როდესაც მრავალჯერადი სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციების შედეგად ფიზიკურად იქნა განადგურებული ან სამშობლოდან განდევნილი მილიონნახევრამდე ჩერქეზული მოსახლეობის 90 %-ზე მეტი. ირკვევა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული დამპყრობლური ომების პერიოდში ჩერქეზი ხალხის გენოფონდის საერთო დანაკარგმა მოკლულის სახით შეადგინა ამ ხალხის მთლიანი მოსახლეობის 20%-ზე ბევრად მეტი, ამიტომაც ამ ქმედებებს ეძლევა აშკარად გამოკვეთილი გენოციდის კვალიფიკაცია, ვინაიდან ამათუიმ ნიშნით ნებისმიერი ხალხის წარმომადგენელთა მიზანმიმართული განადგურება, როცა მსხვერპლის რაოდენობა შეადგენს 20%-ზე მეტს, ავტომატურად გულისხმობს გენოციდის აქტს, ამ ტერმინის ნებისმიერი განმარტებით.

რუსეთის იმპერიაში ჩერქეზთა გენოციდის რეალურობა მტკიცდება თვით ოფიციალური წყაროებითაც. კერძოდ ამას უეჭველს ხდის თვით რუსეთ-კავკასიის ომის სახელმწიფო წარმომადგენლის ისტორიკოს ადოლფ ბერჟეს (1828–1886 წწ) მონაცემებიც, რომელიც მიუთითებდა, რომ დასახლებულ ომში მილიონზე მეტი ჩერქეზული მოსახლეობიდან ბრძოლებში დაიღუპა 400 ათასზე მეტი ადამიანი, ქვეყნიდან გასახლდა 497 ათასი და ისტორიულ სამშობლოში დარჩა მხოლოდ 80 ათასამდე ჩერქეზი. ე. ი. რუსეთის იმპერიის ოფიციალური მონაცემებით, მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა რაოდენობამ ჩერქეზი (ადილელი) ხალხის მთლიანი შემადგენლობის 40% შეადგინა.

ჩერქეზთა გენოციდი რუსეთის იმპერიაში გრძელდებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისამდე და შეწყდა მხოლოდ 1907 წელს. იმ დროის რევოლუციამ რუსეთის პოლიტიკური ელიტის ყურადღება სხვა მიმართულებით გაამბაფრა.

მაშინ ჩემს ამ მოხსენებას დანართის სახით დავურთე ზემოთ განხილული გენოციდის შესახებ დადგენილების პროექტი, რომელიც სამუშაო ვარიანტად იყო შემოთავაზებული იმ შემთხვევისათვის, თუ ქართულ პარლამენტს ექნებოდა მზაობა, რათა ელიარებიან ადიღე-ხალხებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტი – ჩერქეზთა გენოციდის აქტი.

პროექტი

საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია (დადგენილება)

ითვალისწინებს—რა ჩერქეზების მიმართ რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას მე-19 საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის დროს (1763–1864 წწ), როდესაც რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ საგანგებოდ იქნა წინასწარ დაგეგმილი და შემდგომ განხორციელებული ჩერქეზული ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით წმენდა, ხოლო მათგან დაცარიელებულ პუნქტებში სპეციალურად იქნენ ჩასახლებული კაზაკები და რუსები, როდესაც მრავალჯერადი სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციების შედეგად ფიზიკურად იქნა განადგურებული ან სამშობლოდან განდევნილი მილიონნახევრამდე ჩერქეზული მოსახლეობის 90 %-ზე მეტი;

ითვალისწინებს—რა ყაზარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 7 თებერვლის №977–XII-B დადგენილებას „რუსულ-კავკასიური ომის წლებში ადიღელების (ჩერქეზების) გენოციდის აქტის დაგმობის შესახებ“ ;

ითვალისწინებს—რა დოკუმენტურ მასალას და სამეცნიერო კვლევას, რომლითაც ცხადი ხდება რუსეთ-კავკასიის ომის დროს რუსეთის იმპერიის სამხედრო შენაერთების აგრესიული ქმედებები – ხელოვნურად მოწყობილი შიმშილობები და ეპიდემიები მშვიდობიან მოსახლეობაში, რაც ჩერქეზი ეროვნების წარმომადგენელთა სრულ ფიზიკურ განადგურებას ისახავდა მიზნად

და აძლევს რა ისტორიულ და სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას რუსეთ-კავკასიის (1763–1864 წწ) ომის შედეგებს, რომლებიც საბედისწერო აღმოჩნდა ჩერქეზი ხალხისათვის;

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აღიარებულ იქნას (ჩაითვალოს) რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების (ადიღელების) მასობრივი განადგურება და მათი ძალისმიერი (იძულებითი) განდევნა-გასახლება ისტორიული სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში (ასევე ახლოაღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში) გენოციდის აქტად თანახმად ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის მეოთხე და გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციებისა;

2. აღიარებულ იქნა ლტოლვილებად (დევენილებად)//იძულებით გადაადგილებულ პირებად, რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში და შემდგომ სამშობლოდან იძულებით დეპორტირებული ჩერქეზები თანახმად გაერო-ს 1951 წლის 28 ივლისის გენერალური კონვენციისა და მიენიჭოს ჩერქეზ ხალხს დევნილი ხალხის სტატუსი;

3. მიემართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს (გაერო, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, ეუთო) თხოვნით, რათა შემუშავებულ იქნას ქმედითი მექანიზმები სათანადო პოლიტიკური, მატერიალური და ჰუმანიტარული მხარდაჭერისათვის მე-19 საუკუნეში იძულებით დეპორტირებულ ჩერქეზთა შთამომავლების თავისუფალი რეპატრაციის მისაღწევად მშობლიურ მიწებზე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, მათ შორის ჩერქეზულ რესპუბლიკებში.

4. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფა, რაც გულისხმობს სპეციალური სასწავლო-საგანმანათლებლო, სამუზეუმო, მემორიალური და სხვა სახის პროგრამების შექმნას.

P.S. 2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა რუსეთის იმპერიის მიერ რუსეთ-კავკასიის ომის დროს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ რეზოლუციას. საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას ერთსულოვანი გამოდგა. 95 ხმა არცერთის წინააღმდეგ. რეზოლუცია დეპუტატებს გააცნო საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა რეზოლუციის პროექტმა საკომიტეტო განხილვების საფუძველზე საბოლოოდ შემდეგი სახე მიიღო:

"რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტი

საქართველოს პარლამენტი:

ითვალისწინებს ჩერქეზების მიმართ რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას რუსეთ-კავკასიის ომის (1763-1864 წწ.) პერიოდში, როდესაც იმპერიის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ წინასწარ დაგეგმა და შემდგომ განახორციელა ეთნიკური ნიშნით წმენდა ჩერქეზეთის ტერიტორიებზე, ხოლო მათგან დაცლილ ადგილებში მიზანმიმართულად ჩაასახლა სხვა ეთნიკური ჯგუფები;

ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მრავალი სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციის შედეგად ფიზიკურად განადგურდა ან სამშობლოდან განიდევნა ჩერქეზი მოსახლეობის 90%-ზე მეტი;

ითვალისწინებს რუსეთის იმპერიის მრავალ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლებითაც დასტურდება რუსეთ-კავკასიის ომის დროს იმპერიის სამხედრო შენაერთების აგრესიული ქმედებები, კერძოდ, ხელოვნურად მოწყობილი შიმშილობები და ეპიდემიები, რომლებიც მიზნად ისახავდა მშვიდობიანი მოსახლეობის - ჩერქეზი ეროვნების წარმომადგენელთა - ფიზიკურ განადგურებას;

ითვალისწინებს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 7 თებერვლის №977-XII-B დადგენილებას „რუსეთ-კავკასიის ომის წლებში ადიდელების

(ჩერქეზების) გენოციდის აქტის დაგმობის შესახებ“ და სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას აძლევს რუსეთ-კავკასიის ომის (1763–1864 წწ.) შედეგებს; ითვალისწინებს ხანგრძლივ კვლევას, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში დაადგინა გენოციდის როგორც ფაქტი, ისე განზრახვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აღიარებულ იქნეს რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების (ადიღელების) მასობრივი განადგურება და ისტორიული სამშობლოდან განდევნა გენოციდის აქტად, თანახმად „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ“ ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის IV კონვენციისა და „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების და მისი დასჯის შესახებ“ გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციისა.
2. აღიარებულ იქნენ ლტოლვილებად რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში და შემდგომ დეპორტირებული ჩერქეზები, თანახმად „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა.

თბილისი,
2011 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტისგან რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ჩერქეზი (ადიღელი) ხალხის გენოციდის აღიარების ლოგიკურ გაგრძელებად იქცა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის დადგენილება **N1446** რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად დაღუპულთა სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე მემორიალის აღმართვა. მემორიალი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიელ ხალხთა მიმართ გენოციდის პოლიტიკის შედეგად ფიზიკურად განადგურებული ადამიანების ხსოვნას მიემღვნება, საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქ ანაკლიაში განთავსდება, ანუ იქ, სადაც მე-19 საუკუნეში სამშობლოდან იძულებით აყრილმა, ოსმალთა იმპერიაში მიმავალმა, ჩერქეზული (ადიღური) დევნილი მოსახლეობის არაერთმა ტალღამ გაიარა.

ავტორი: პროფ. მერაბ ჩუხუა

